

შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-01/57

თბილისი

“ 15 “ ივლისი 2016 წ.

შემოდგომის სემესტრში შიდა მობილობის ვადების, ვაკანტური ადგილების და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის შესახებ:

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის, შპს გოსუ-ის წესდების მე-5 მუხლის, შპს გოსუ-ის შინაგანაწესის 44-ე მუხლის, შპს გოსუ-ის მობილობის დებულების 1 მუხლის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 05.07. №566 ბრძანების, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანის, სამართლის ფაკულტეტის დეკანის, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის წარდგინებების და ფაკულტეტების საბჭოს სხდომის ოქმების ამონაწერების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

დამტკიცდეს 2016-2017 სასწ/წ შემოდგომის სემესტრის შიდა მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადები და ადგილები:

ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- ბიზნესის ადმინისტრირება - (მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები) - 10 ადგილი;
- ტურიზმი - 10 ადგილი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი - 5 ადგილი;
- საბანკო საქმე - 5 ადგილი;
- რეკრეაციული ტურიზმი - 5 ადგილი.

სამართლის ფაკულტეტზე

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- სამართალი - 5 ადგილი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- სისხლის სამართლის სპეციალობა - 5 ადგილი;
- კერძო სამართლის სპეციალობა - 5 ადგილი.

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- ჟურნალისტიკა - 5 ადგილი;
- ფსიქოლოგია - 5 ადგილი.

1. განისაზღვროს შემოდგომის სემესტრის შიდა მობილობის ვადები ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის:

- ✓ დოკუმენტების მიღება ფაკულტეტებზე - 2 სექტემბრიდან - 7 სექტემბრამდე;
- ✓ კრედიტების აღიარება - 5 - 7 სექტემბერი;
- ✓ გადაყვანის შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება - 9 სექტემბერი.

2. განისაზღვროს წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:

- ✓ განცხადება (რექტორის სახელზე);
- ✓ ამონაწერი სტუდენტის სასწავლო ბარათიდან (დამოწმებული ფაკულტეტის ბეჭდით და დეკანის ხელმოწერით);
- ✓ ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ;
- ✓ პირადობის მოწმობის ასლი;
- ✓ გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატის ასლი.

3. შიდა მობილობის მსურველთა კრედიტების აღიარება დაევალოს უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტს სასწავლო განყოფილებასთან შეთანხმებით.

4. ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას.

5. დაევალოს კანცელარიას ბრძანება გადასცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.